



## ატლასში პიგსის ნაწილაკის ძიების უახლესი შედეგები



ნახ. 1. პიგსის ბოზონის 4 ელექტრონად დაშლის კანდიდატი, ჩაწერილი ატლასის მიერ 2012 წელს.


2012 წლის 4 ივლისს ცერნში შედგა ერთობლივი სემინარი, რომელზეც ატლასის ექსპერიმენტმა წარმოადგინა პიგსის ბოზონის ძიების წინასწარი შედეგები. ცერნში მომუშავე მეცნიერებთან ერთად, სემინარს ვიდეო კავშირით თვალყურს აღევნებდნენ მათი კოლეგები მსოფლიოს ასობით ქვეყანაში. სემინარი ასევე გადაიცა ავსტრალიის ქალაქ მელბურნში მიმდინარე მაღალი ენერგიების ფიზიკის საერთაშორისო კონფერენციაზე, სადაც უახლოეს დღეებში წარმოდგენილი იქნება ამ შედეგების დეტალური ანალიზი.

“არ გვეცნა რომ დღეისათვის ძიება ასეთი წარმატებული იქნებოდა,” ამბობს ატლასის კოლაბორაციის ხელმძღვანელი ფაბიოლა ჯანოტი. “ჩვენს მომაცემებში ჩვენ ვხედავთ დაახლოებით 126 გევ მასის მქონე ახალი ნაწილაკის აშკარა ნიშნებს, 5 სტანდარტული გადახრის დონეზე. ეს ამაღელვებული მიღწევა დიდი პადრონული კოლაიდერის და ატლასის დეტექტორის შესანიშნავი მუშაობისა და მრავალი ადამიანის უზარმაზარი შრომის ნაყოფია, თუმცა ამ ახალი ნაწილაკის თვისებების გამოკვლევას დამატებითი მონაცემები და მეტი შესწავლა დასჭირდება.”



ნახ. 2. პიგსის ნაწილაკის 4 მიუონად დაშლის კანდიდატი, ჩაწერილი ატლასის მიერ 2012 წელს

ჰიგსის ბოზონი არასტაბილური ნაწილაკია, ის ძალიან სწრაფად იშლება სხვა ნაწილაკებად, ისე რომ მისი დაკვირვება შესაძლებელია მხოლოდ მისი დაშლის პროდუქტების რეგისტრაციისა და ანალიზის საფუძველზე. თანამედროვე ფიზიკის უაღრესად წარმატებული თეორია, ე. წ. სტანდარტული მოდელი, ზუსტად განსაზღვრავს ჰიგსის ბოზონის დაშლის შესაძლო მოდებს, ანუ დაშლის არხებს, რომელთა შორის თანაფარდობა დამოკიდებულია ჰიგსის ნაწილაკის მასაზე.




ნახ. 3. მასების განაწილება ორფოტონიან არხში.

ატლასმა უურადღება გაამახვილა ორ ასეთ არხზე, ჰიგსის დაშლებზე ორ ფოტონად ან ოთხ ლეპტონად. მასის გარჩევისუნარიანობა ორივე შემთხვევაში ძალიან კარგია; ორფოტონიანი დაშლა ხასიათდება ზომიერი სიგნალით მაღალ, მაგრამ კარგად ცნობილ ფონზე, მაშინ როცა ოთხლეპტონიან მოდაში სიგნალი შედარებით სუსტია, ფონი კი დაბალი. ორივე არხში დაიკვირვება მოვლენების სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ნამეტი ერთი და იგივე, 126 გევ, მასის მახლობლობაში. ამ და სხვა არხების სტატისტიკური კომბინაციის შედეგად სიგნალის მნიშვნელოვნება აღწევს “5 სიგმა” დონეს, რაც იმას ნიშნავს, რომ, უპიგსო სამყაროში, 3 მილიონი ექსპერიმენტიდან მხოლოდ ერთი უჩვენებდა ასეთ ძლიერ სიგნალს.


ამჟამინდელი შედეგი არის იმ ანალიზის განვითარება, რომელიც წარმოდგენილი იყო ცერნის სემინარზე გასულ დეკემბერში და გამოქვეყნდა ამ წლის დასაწყისში. დეკემბრის შედეგები ეფუძნებოდა 2011 წლის განმავლობაში აკუმულირებულ 7 ტევ ენერგიის პროტონ-პროტონული დაჯახებების მონაცემებს, რომელთა თანახმად ჰიგსის ბოზონის შესაძლო მასა შემოიფარგლა ვიწრო ინტერვალით 117 გევიდან 129 გევამდე. როგორც ატლასმა, ასევე სი-ემ-ეს კოლაბორაციამ, შენიშნეს მოვლენების მცირეოდენი ნამატი 126 გევის მახლობლად.

ატლასის, დიდი პადრონული კოლაიდერის და მაღალი ენერგიების ფიზიკის მთელი საზოგადოების სამომავლო ამოცანა იმის გარკვევაა, თუ რამდენად შეესაბამება ახლად დაკვირვებული ნაწილაკის თვისებები სტანდარტული მოდელის ჰიგსის ბოზონის მოსალოდნელ თვისებებს. ზოგიერთი წინასწარმეტყველება უკვე გამართლდა: სიგნალი ჩანს თეორიის მიერ ნაკარნახებ არხებში, და თანაც სხვა, არაპირდაპირი მეთოდებით დადგენილი მასების ინტერვალში.

მომავალი თვეების განმავლობაში ატლასი უკეთესად გაზომავს ამ



ნახ. 4. მასების განაწილება ოთხლეპტონიან არხში.




ნახ. 5. ატლასის მიერ დადგენილი ექსპერიმენტული საზღვრები სტანდარტული მოდელის ჰიგსის ბოზონის დაბადებისათვის.

პროტონების კონის გაზრდილი ინტენსიონის მიუხედავად, ატლასის დეტექტორმა შესანიშნავად იმუშავა და თითქმის 100%-იანი ეფექტურობით შეაგროვა მაღალი ხარისხის მონაცემები, რომელთა რეკონსტრუქციისა და ანალიზისათვის არსებითი იყო კოლაიდერის მსოფლიო კომპიუტერული ქსელის უმწიკლო მუშაობა. ამ წლის ბოლომდე, კოლაიდერი გეგმავს ატლასს მიაწოდოს მონაცემთა გაორმაგებული რაოდენობა. ამის შემდეგ ამაჩქარებელი შეწყვეტს მუშაობას 2014 წლის ბოლომდე, როცა ის კვლავ ამუშავდება, ამჯერად თითქმის გაორკეცებული ენერგიით.

გაუმჯობესებული კოლაიდერის მიერ გამომუშავებული მონაცემების დახმარებით მეცნიერები შეეცდებიან პასუხი გასცენ ყველა იმ შეკითხვას ჰიგსის ნაწილაკის შესახებ, რომლებიც უეჭველად მოჰყება დღევანდელ განცხადებას, ისევე როგორც სხვა შეკითხვებს ბუნების ფუნდამენტური კანონების შესახებ.

ნაწილაკის თვისებებს და შეეცდება დაადგინოს, არის თუ არა ეს ჰიგსის ბოზონი, მსგავსი ნაწილაკების მთელი ოჯახის პირველი წარმომადგენელი, თუ სულ სხვა ტიპის ობიექტი.

2012 წელს დიდი პადრონული კოლაიდერის ენერგია 8 ტევამდე გაიზარდა. ამაჩქარებლის კოლექტივის ბრწყინვალე მუშაობის შედეგად, სულ რაღაც სამ თვეში მეტი მონაცემი შეგროვდა, ვიდრე მთელი 2011 წლის განმავლობაში. დღევანდელი რეზულტატი დაახლოებით ერთი კვადრილიონი (ანუ მილიონი მილიარდი) პროტონული დაჯახების ანალიზის შედეგადაა მიღებული.



ნახ. 6. ფინის მიერ სიგნალის მსგავსი ნამეტის წარმოშობის ალბათობა, ჰიგსის სხვადასხვა მასისათვის.

## ინფორმაცია ატლასის შესახებ

ატლასი არის მაღალი ენერგიების ფიზიკის ექსპერიმენტი, განლაგებული დიდ პადრონულ კოლაიდერზე, ცერნში. ატლასი იკვლევს ძალიან მაღალი ენერგიის პროტონების დაჯახებებს, და სწავლობს იმ ფუნდამენტურ ძალებსა და მოვლენებს, რომლებიც საფუძვლად უდევს სამყაროს წარმოშობასა და განვითარებას. შესასწავლ საკითხთა შორისაა მასის წარმოშობა, სივრცის დამატებითი გამზომილებების არსებობა, ფუნდამენტურ ურთიერთქმედებათა გაერთიანება, და მრავალი სხვა.

ამჟამად ატლასის კოლაბორაცია მოიცავს 38 ქვეყნის 176 ინსტიტუტისა თუ უნივერსიტეტის 3000-ზე მეტ ფიზიკოსს. მათ შორის 1000-ზე მეტი ასპირანტია.

ინფორმაცია ატლასის შესახებ შეგიძლიათ ნახოთ ვებ-გვერდზე [\[http://atlas.ch\]](http://atlas.ch).